

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის

გადაწყვეტილება №004/18

ქ.თბილისი, 30 აპრილი, 2018 წელი

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის

საპროცესო კოლეგიის ალტერნატიული წევრის დანიშვნის თაობაზე

2018 წლის 30 აპრილს მესამე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარემ ქეთევან უტიაშვილმა მოხსენებითი ბარათით მომართა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, რომლის მიხედვითაც მესამე დისციპლინური კოლეგიის წევრები ხათუნა ჩხაიძე და თეიმურაზ თოდრია საპატიო საფუძვლით ვერ იღებენ მონაწილეობას დისციპლინური საქმის №003/18-ის საპროცესო წესით განხილვაში.

მესამე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარის თხოვნით, ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მიერ აღნიშნული საქმის განხილვისას კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით №003/18 საქმის განხილვისას ალტერნატიულ წევრებად დაინიშნონ ინგა სეხნიაშვილი და ია გაბედავა.

ვიხელმძღვანელებ რა ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით, საპროცესო კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ეთიკის კომისიის ეთიკის კომისიის წევრები ინგა სეხნიაშვილი და ია გაბედავა დაინიშნონ მესამე დისციპლინურ კოლეგიაში ალტერნატიულ წევრებად დისციპლინური საქმის №003/18 განხილვისათვის საჭირო ვადით.
2. გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღებისთანავე.
3. ეთიკის კომისიის აპარატს დაევალოს, გადაწყვეტილების თაობაზე ეთიკის კომისიის შესაბამისი წევრების ინფორმირება.

გია ტაბლიაშვილი

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე